სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

49153011203322

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221470639

რეგისტრაციის თარიღი

27.10.2022 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47
ტელეფონი: 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაექვს ოქტომბერს მე, ნოტარიუსს ეკატერინე მარშანიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას 47, მომმართა **ავთანდილ იაშვილმა.** მან განაცხადა, რომ არის **შპს „ელიტ ჯგუფი“-ს** (ს/კ 406062433) დირექტორი, თანახმად ამონაწერის სამეწარმეო რეესტრისა: განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17050537, 08/05/2017 10:48:19 და სურს უფლების გადაცემის აქტის - მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **თეა თაბაგარს** (დაბ.15.01.1978წ. თბილისში, პირადი №01001012443, მისამართი: თბილისი, გლდანის მასივი, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 15, ბინა 88). მე დავადგინე მიმნდობი პირის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ავთანდილ იაშვილმა** (დაბ.01.09.1953წ. ვანში, პ/ნ 01002004622, მისამართი: თბილისი, არჩილ ცაგარელის ქუჩა, 78) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ასევე, შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მიმნდობ პირს. მიმნდობმა პირმა განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვადასტურებ.

მინდობილობა

მე, **შპს „ელიტ ჯგუფი“-ს** (ს/კ 406062433) დირექტორმა **ავთანდილ იაშვილმა,** რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი პირი“, წინამდებარე მინდობილობით **თეა თაბაგარს,** რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც **„მინდობილი პირი“**, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **იგი** უფლებამოსილია იყოს **საზოგადოების დირექტორის** წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიაში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში, მერიის სსიპ-ებთან, მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, სსიპ არქიტექტურის სამსახურთან, ქონების მართვის სააგენტოსთან, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან, სატრანსპორტო სამსახურთან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, ნებისმიერ კომისიაში, არქივში, გამგეობაში, მოახდინოს საზოგადოების საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მდებარე: **ქალაქი თბილისი , ქუჩა როდენი , N 8 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იაკობ ნიკოლაძე , N 14 ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ი. ნიკოლაძის, N12 ; ქალაქი თბილისი, ქუჩა იაკობ ნიკოლაძე , N10** - ს/კ #01.15.03.013.012, ნებისმიერი არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილება, მშენებლობის (მათ შორის რეკონსტრუქციის) ნებართვის მოპოვება/ვადის გაგრძელება, ექსპლუატაციაში მიღება, ლეგალიზება ან/და დასრულება - შემდგომი ლეგალიზების მიზნით განაცხადის წარდგენა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერ სამსახურში და ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში. **საზოგადოების დირექტორის** სახელით შესაბამის ორგანოებში დოკუმენტების შეტანა, გამოთხოვა, ინფორმაციის მოპოვება, დოკუმენტაციაზე ხელმოწერა და ყველა იმ ქმედების განხორციელება, რაც აუცილებელია დავალების შესასრულებლად.

2. მინდობილობა გაცემულია **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობი პირს“.

იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

3. მინდობილობა გაცემულია **სამი თვის ვადით, გადანდობის გარეშე.**

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2012 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია